## დინამო გამოეთიშა უეფა–ს გათამაშებას

ციურიხი "გრასჰოპერსი" სტადიონი 7 დეკემბერი.

"გრასჰოპერსი" (ციურიხი) – "დინამო" (თბილისი) 4:0 (1:0).

"პრასჰოპერსი": ბერბიგი, ბეკერი, ნაფცგერი, მონტანდონი, ჰეი, ბაუერი, მეიერი, ვერლი, სულზეი, პონტე, ელზენერი.

"დინამო": გაბელია, კოსტავა, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გ. მაჩაიძე (კოპალეიშვილი), ყიფიანი, ჩელებაძე.

მსაჯი მ. კატაბჯანი (საფრანგეთი)

გოლები: სულზერი (მე–13 წუთი), პონტე (47 – პენალტი), ელზენერი (76), პონტე – (88).

მინდვრიდან გაძევებულია ხინჩაგაშვილი. გაფრთხილებები მიიღეს მუჯირმა, კანთელაძემ და ჰეიმ.

ჟენევაში, 7 დეკემბერს თბილისის "დინამომ" უეფა–ს თასის განმეორებითი მერვედფინალური შეხვედრა ჩაატარა ციურიხის "გრასჰოპერსთან" თბილისელმა ფეხბურთელებმა შინ, როგორც ცნობილია, გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0 და ახლა ყველაფერი უნდა გაეკეთებინათ ამ მინიმალური უპირატესობის შესანარჩუნებლად.

მაგრამ თბილისელებმა მიზანს ვერ მიაღწიე. ისინი მეტწილად მოქმედებდნენ უსისტემოდ და თავიდანვე ღრმა დაცვაში იმყოფებოდნენ. თუ მხედველობაში არ მივიღებთ მომენტს, როცა მ. მაჩაიძემ ძელს მოახვედრა ბურთი, მათ გართულებანი თითქმის არ შეუქმნიათ მეტოქის კართან, ამას გარდა, გუნდის მოთამაშეებმა გამოიჩინეს ყოვლად გაუმართლებელი თავშეუკავებლობა, რისთვისაც მინდვრიდან გააძევეს ხინჩაგაშვილი, ხოლო კანთელაძემ და მუჯირმა გაფრთხილებები მიიღეს.

ციურიხის გუნდი კი ამ დღეს მოქმედებდა ზუსტი გეგმით, აქტიურად და 4 მშრალი ბურთი გაიტანა სტუმრების კარში.

ციურიხის "გრასჰოპერსთან" ტელევიზიით ნანახი მატჩი უფლებას გვაძლევს გამოთქვათ სერიოზული კრიტიკული შენიშვნა ჩვენი გუნდის ხელმძღვანელობის მიმართაც. ფაქტია, რომ სსრ კავშირის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ თბილისის "დინამოს" მწვრთნელებმა ვერ შეძლეს კოლექტივისთვის შეენარჩუნებინათ მაღალი საბრძოლო ფორმა. ციურიხის განმეორებით მატჩში თბილისის "დინამო" თავის შესაძლებლობაზე გაცილებით დაბლა გამოიყურებოდა.

ზედმეტად არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ვეტერანი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ვ. ნიკოლაევის აზრი, რომელიც მან თბილისის დინამოელთა ამ თამაშების შესახებ გაუზიარა საკდესის კორესპონდენტს:

– პირველ მატჩში საკუთარ მინდორზე დინამოელებს მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ბევრი ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს და მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანეს.

ამით დინამოელებმა საქმე გაიძნელეს მეტოქის მინდორზე გამოვლისთვის. და მართლაც, 7 დეკემბრის მატჩში, რომელიც ციურიხში გაიმართა, დინამოელები ზედმეტი თავდაჯერებით მიუდგნენ თამაშს, ისინი მეტოქეს ჩამორჩებოდნენ ორთაბრძოლაში, თავდადებაში, ვერ შეძლეს მწვავე იერიშების განვითარება. წამყვანი მოთამაშეების – მ. მაჩაიძისა და ყიფიანის ინდივიდუალური მოქმედება კოლექტივის ინტერესებს არ ექვემდებარებოდა, თანაც ბევრი ფეხბურთელი უდისციპლინოდ იქცეოდა, ხინჩაგაშვილი კი მოედნიდან გააძევეს. ათ კაცს, რა თქმა უნდა, თამაში კიდევ უფრო გაუჭირდა, ამიტომ დიდი ანგარიშით – 0:4 წაგება მხოლოდ თვით დინამოელთა ბრალია და თბილისელმა ფეხბურთელებმა ეს თვითკრიტიკულად უნდა აღიარონ.

**”ლელო” 10 დეკემბერი 1977 წ.**